სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 ოქტომბერი, 2024 წ.

ბრძანება № 01-08/944

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე ე.წ მე-7 ნაკადზე ჩარიცხული ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და ზოგიერთი სტუდენტისათვის 2024-2025 სასწავლო წლით სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცა ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ე.წ მე-7 ნაკადზე ჩარიცხულ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №01-08/586 ბრძანება.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისი შეიძლება დაიშვას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის თანახმად, ,,თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები ოპტიმალურ ვადაში (....,,მედიცინის"/,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 12 სემესტრი....), მის მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად იწყება ადმინისტრაციული წარმოება. სტუდენტს, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 კრედიტზე მეტი, უწყდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუკი დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 და ნაკლები კრედიტი, ადმინისტრაციული წარმოების ვადის ამოწურვამდე მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე შეიძლება გაუხანგრძლივდეს სწავლის ვადა ერთი სასწავლო წლის/სემესტრის ვადით (გამონაკლისი/სხვა ვადა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით).

ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრის დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის MES 7 24 0001249965 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილ იქნა ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო

(ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტთა სია, რომელთაც დარჩენილი ქონდათ ასათვისებელი 75 და ნაკლები კრედიტი და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართეს ბსუ–ს განცხადებებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის მიღების თაობაზე.

2024 წლის 19 სექტემბრის №01-08/586 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი სტუდენტთა განცხადებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი მიეცეთ ამ სტუდენტებს შესაძლებლობა დაარეგისტრირონ (გაიარონ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია) და აითვისონ დავალიანებული სასწავლო კურსები დამატებით სასწავლო წელს - 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო იმ სტუდენტს, რომლის დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, კანონშესაბამისია შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის **2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 08 მაისის №06-01/54 დადგენილების (ცვლილება **13.12.2023 წ. N06-01/147 დადგენილებით),** ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 05 ივნისის №01-02/73 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს №01-02/132 ბრძანების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ე.წ მე-7 ნაკადზე ჩარიცხულ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №01-08/586 ბრძანების, სტუდენტთა განცხადებების და ბსუ-ს ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრის დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის MES 7 24 0001249965 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" **ე.წ მე-7 ნაკადზე** ჩარიცხულ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტებს, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად 2024-2025 სასწავლო წლის ბოლომდე

გაუხანგრძლივდეთ ბსუ-ში სწავლის ვადა <u>და შეჩერდეს მათ მიმართ</u> ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №01-08/586 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. ბრძანების №1 დანართში აღნიშნულ სტუდენტებს განემარტოთ, რომ დადგენილ ვადებში აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში შეუწყდებათ ბსუ–ს სტუდენტის სტატუსი.

3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა და ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრმა უზრუნველყოს №1 დანართში აღნიშნული სტუდენტების აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის მონიტორინგი.

4. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის ე.წ მე-7 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტს **(დანართი №2),** რომლის დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, **შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.**

5. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და შესაბამის ინფორმაციასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში).

7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს (ბრძანების ინგლისურ ენაზე თარგმნისათვის), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს, წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე ე.წ მე-7 ნაკადზე ჩარიცხული ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და ზოგიერთი სტუდენტისათვის 2024-2025 სასწავლო წლით სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის ---10--- **ოქტომბრის** ---№01-08/744--- **ბრძანების**

დანართი №1

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე **ე.წ მე-7** ჩარიცხული **სტუდენტები**, რომლებმაც 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები 12 სემესტრში, მათ მიმართ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოცემის მიზნით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №01-08/586 ბრძანებით და წარმოების პროცესში წარმოდგენილი სტუდენტების განცხადებების საფუძველზე 2024-2025 სასწავლო წლის ბოლომდე გაუგრძელდათ ბსუ-ში სწავლის ვადა.

№	**ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ სტუდენტის გვარი, სახელი**				**პასპორტის ნომერი**	**ბსუ-ში მე-7 ნაკადზე ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი**	**ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**	**სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების თარიღი და ნომერი**
	ქართულად		ინგლისურად					
1	განგავარაპუ	აპურვა	Gangavarapu	Apoorva		№01-09/515, 20.09.2018	51	№1162550 19/09/2024
2	ვატსა	არპიტა	Vatsa	Arpita		№01-09/493, 20.09.2018	9	№1151555 18/09/2024
3	იადავ	კამლეშ კუმარ	Yadav	Kamlesh Kumar		№01-09/515, 20.09.2018	9	№1151449 18/09/2024
4	უდკარ	ნეჰა	Udkar	Neha		№01-09/561, 05.10.2018	7	№1167901 19/09/2024
5	შარმა	შუბჰამ კუმარ	Sharma	Shubham Kumar		№01-09/561, 05.10.2018	9	№1151573 18/09/2024
6	გოკა	სვარაჯ რედდი	Goka	Swaraj Reddy		№01-09/474, 17.09.2018	5	№1151593 18/09/2024
7	იერამალა	ტიტუს შაშანკ რაჯ	Yeramala	Titus Shashank Raj		№01-09/522, 28.09.2018	32	№1198100 24/09/2024
8	გარგ	ნეელანშ	Garg	Neelansh		№01-09/774, 20.11.2018	38	№1151196 18/09/2024
9	სინჰა	პრერნა	Sinha	Prerna		№01-09/788, 27.11.2018	41	№1169810 20/09/2024

10	დონტულ	ბჰავნა ჩანდრაკანტ	Dontul	Bhavna Chandrakant		№01-09/726, 29.10.2018	23	№1151527 18/09/2024
11	მარტინ	სურაჯ	Martin	Suraj		№01-08/25, 15.02.2019	30	№1162152 19/09/2024
12	ბისვალ	მირალი რანჯან	Biswal	Mirali Ranjan		№01-09/774, 20.11.2018	30	№1151485 18/09/2024
13	დორია	კაპილ	Doria	Kapil		№01-09/726, 29.10.2018	29	№1180167 23/09/2024
14	მიგლანი	კჰუში	Miglani	Khushi		№01-09/726, 29.10.2018	9	№1151253 18/09/2024
15	რაი	ჩეტან	Rai	Chetan		№01-09/726, 29.10.2018	24	№1151302 18/09/2024
16	პატელ	ვაიბჰავკუმარ ჯაიეშბჰაი	Patel	Vaibhavkumar Jayeshbhai		№01-09/774, 20.11.2018	13	№1151366 18/09/2024
17	შომე	კამალიკა	Shome	Kamalika		№01-08/25, 15.02.2019	21	№1151414 18/09/2024
18	ვაიტი	მარსია ჯონსონ	Vaity	Marcia Johnson		№01-08/16, 31.01.2019	21	№1151333 18/09/2024
19	კჰანტ	მიჰირ ჰირენბჰაი	Khant	Mihir Hirenbhai		№01-09/774, 20.11.2018	7	№1151235 18/09/2024
20	მოჰამმედ	ამან ალი	Mohammed	Aman Ali		№01-09/556, 28.02.2018	59	№1151283 18/09/2024
21	პარგი	აკჰილ საი	Pargi	Akhil Sai		№01-09/758, 08.11.2018	39	№1198037 24/09/2024
22	ვარალა	ვიშვას კრიშნა	Varala	Vishwas Krishna		№01-09/608, 10.10.2018	50	№1198083 24/09/2024
23	ალამ	მოჰამმად აფროზ	Alam	Mohammad Afroz		№01-09/709, 22.10.2018	16	№1153470 18/09/2024
24	გოჯიია	მილან კჰიმაბჰაი	Gojiya	Milan Khimabhai		№01-09/788, 27.11.2018	27	№1151389 18/09/2024
25		გულამ გჰოუსე მოჰამმედ		Gulam Ghouse Mohammed		№01-09/821, 25.12.2018	17	№1201222 25/09/2024
26	მოჰამმედ	ანვერ	Mohammed	Anwer		№01-09/821, 25.12.2018	13	№1198068 24/09/2024

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე ე.წ მე-7 ნაკადზე ჩარიცხული ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და ზოგიერთი სტუდენტისათვის 2024-2025 სასწავლო წლით სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე''

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის ---10--- **ოქტომბრის** ---№01-08/744--- **ბრძანების**

დანართი №2

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე **ე.წ მე-7** ნაკადზე ჩარიცხული **სტუდენტი**, რომლის დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს და უნდა შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

№	ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის" სტუდენტის გვარი, სახელი				პასპორტის ნომერი	ბსუ-ში მე-7 ნაკადზე ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი	ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა
	ქართულად		ინგლისურად				
1	სრივასტავა	იატჰარტჰ	Srivastava	Yatharth		№01-09/474, 17.09.2018	79